სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი: 2017 წლის საუკეთესო სადიპლომო ნამუშევარი

2017 წლის 18 დეკემბერს არქიტექტორთა კავშირში შედგა წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი და გამარჯვებულების დაჯილდოება. კონკურსი ტარდება ყოველწლიურად არქიტექტურის დღის ფარგლებში.

კონკურსის ორგანიზატორი არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და თანაორგანიზატორები საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი არქიტექტურული სკოლები.

კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში:

ქალაქთმშენებლობა;

ლანდსაფტის არქიტექტურა;

მოცულობითი არქიტექტურა (არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია);

რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია;

ინტერიერი და დიზაინი;

გარემოს დიზაინი;

კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორი უმაღლესი სასწავლებლის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტებმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა კონკურსზე წარადგინა 3 სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევარი ორ ნომინაციაში: მოცულობითი არქიტექტურა და რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია.

„მოცულობითი არქიტექტურა“-ის ნომინაციაში საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი და არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრს ივანე ებრალიძეს პროექტში „ახალი სკოლა ავლაბარში 480 მოსწავლეზე“ ხელმძღვანელი სტუ - ს პროფესორი მედეია მელქაძე.





ამავე ნომინაციაში მონაწილის დიპლომი გადაეცა გიორგი არევაძეს, საცხოვრებელი ხელმძღვანელი მ. მელქაძე (სტუ.)

ნომინაცია რესტავრაცია, რეგენერაცია, რეკონსტრუქცია საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი გადეცა დავით უგრეხელიძეს. თემა: ‘ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია“; ხელმძღვანელი გიული გეგელია (სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი)

1


4

დაჯილდოებაზე გამარჯვებული სტუდენტები და მათი ხელმძღვანელები